სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 იანვარი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/03

„ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/51 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების N1 დანართში შეიცვალოს შემოდგომის სემესტრის დასრულების და გაზაფხულის სემესტრის ვადები და საბოლოოდ **N1 დანართი** ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით **(N1 დანართი).**
2. დადგენილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს; დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს), რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილს), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/51 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 იანვრის №06-01/03 დადგენილების N1 დანართი

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი (სალექციო/სააუდიტორიო/პრაქტიკული სამუშაოები) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1 **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2024 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2025 წლის 08 თებერვალს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 01 ოქტომბერს და დასრულდეს 11 ოქტომბერს (აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ გამოიცეს რექტორის ბრძანება);

გ) საშობაო არდადეგები - 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 11 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2025 წლის 10 თებერვლიდან 01 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2025 წლის 04 მარტიდან 07 მარტის ჩათვლით.

ე) შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2025 წლის 10 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით.

1.2 **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2025 წლის 24 მარტს** და დასრულდეს 2025 წლის 05 ივლისს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 10 მარტს და <u>დასრულდეს 21 მარტს,</u> ხოლო ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს აკადემიური რეგისტრაციასთან ერთად, მაგრამ სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში (საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს რექტორის სამართლებრივი აქტი);

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2025 წლის 07 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2025 წლის 28 ივლისიდან 02 აგვისტოს ჩათვლით.

დ) გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2025 წლის 15 სექტემბრიდან 27 სექტემბრიდან ჩათვლით.